

შემოსავლების სამსახურის განმარტება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 113-ე მუხლზე

მუხლი 113. არამატერიალურ აქტივებზე საამორტიზაციო ანარიცხების გამოქვითვა

1. არამატერიალური აქტივების ხარჯები გამოიქვითება საამორტიზაციო ანარიცხების სახით, მათი სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში, საანგარიშო პერიოდის პროპორციულად. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, 1000 ლარამდე ღირებულების არამატერიალური აქტივი მთლიანად გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან იმ საანგარიშო წელს, როდესაც შესაბამისი ხარჯი იქნა გაწეული.

ანალიზი:

სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. არამატერიალურ აქტივს მიეკუთვნება სავაჭრო ნიშანი, საავტორო უფლება, პატენტი, ფრანჩიზი, ლიცენზია, ექსპორტისა და იმპორტის სპეციალური უფლებები, საბადოების დამუშავების უფლება და სხვა.

ძირითადი საშუალებების ანალოგიურად, ამორტიზაციის დარიცხვას ექვემდებარება არამატერიალური აქტივებიც. არამატერიალურ აქტივებთან მიმართებაში არ გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლით დადგენილი („100 %- ი ანი ცვეთა“) ნორმა და მასზე დანახარჯი გამოიქვითება 111-ე მუხლის შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები შეიძლება დავყოთ 2 ჯგუფად:

1. აქტივები, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა განსაზღვრულია და
2. აქტივები, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადის დადგენა შეუძლებელია.

არამატერიალური აქტივები, რომელთა სასარგებლო ვადის გამოყენება განსაზღვრულია, გამოიყენება საამორტიზაციო ანარიცხების სახით, სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში, საანგარიშო პერიოდის პროპორციულად.

ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №26) :

გადასახადის გადამხდელმა 2012 წლის პირველ იანვარს შეიძინა სავაჭრო ნიშნის გამოყენების უფლება 50000 ლარად 5 წლის ვადით.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

ვინაიდან აღნიშნული არამატერიალური აქტივის გამოყენების ვადა განსაზღვრულია და არის 5 წელი, გადამხდელმა მასზე საამორტიზაციო ანარიცხები უნდა გაიანგარიშოს საანგარიშო პერიოდების პროპორციულად. ანუ ყოველწლიურად ერთობლივი შემოსავლიდან უნდა გამოქვითოს 10 000 ლარი. მიუხედავად იმისა, შესძლო თუ არა პირმა შესაბამის წელს მისი ფაქტობრივი გამოყენება.

(იხ.სიტუაციური სახელმძღვანელო № 0217)



2. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრა, ამორტიზაციის ნორმა შეადგენს 15 პროცენტს.

ანალიზი:

ისეთ არამატერიალურ აქტივს, რომლის სასარგებლოს გამოყენების ვადა დაუდგენელია ამორტიზაციის ნორმა შეადგენს 15 %-ს.

ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №27) :

გადასახადის გადამხდელმა 20 12 წლის 1 იანვარს 50 000 ლარად შეიძინა (უვადოდ) სავაჭრო ნიშანი.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

გადასახადის გადამხდელმა შეძენილი არამატერიალური აქტივი უნდა ასახოს ცალკე ჯგუფში და საანგარიშო წელს დაარიცხოს ამორტიზაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-5 ჯგუფით განსაზღვრული საამორტიზაციო ნორმის მიხედვით 7 500 ლარი (50 000X 15%).

3. არამატერიალური აქტივები ცალკე ჯგუფად აღირიცხება.

ანალიზი:

შენიშნულსა და ნაგებობებს ანალოგიურად, ამორტიზაცია თითოეულ არამატერიალურ აქტივს დაერიცხება ინდივიდუალურად. შესაბამისად, თითოეული არამატერიალური აქტივი ცალკე ჯგუფად განიხილება. აღნიშნულით არამატერიალური აქტივისათვის შენარჩუნებულია ინდივიდუალური ღირებულება.

4. ამორტიზაციას დაქვემდებარებული არამატერიალური აქტივების ღირებულებაში არ შეიტანება მათი შეძენის ან წარმოების ხარჯები, თუ ისინი უკვე გამოქვითული იყო გადასახადის გადამხდელის დასაბეგრი მოგების (შემოსავლის) გამოანგარიშებისას.

ანალიზი:

სამეურნეო საქმიანობაში არსებობს ხარჯები არამატერიალურ ობიექტებზე, რომელთა შედეგად არამატერიალური აქტივი შეიძლება წარმოიქმნას ან არ წარმოიქმნას. ასეთია, მაგალითად, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ხარჯები. ამდენად, თუ ეს ხარჯები გამოქვითული იყო გასულ საგადასახადო პერიოდებში გადასახადის გადამხდელის ერთობლივი შემოსავლიდან, მიმდინარე წელს წარმოქმნილი არამატერიალური აქტივის ღირებულებაში ისინი აღარ შეიტანება.

